

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერებები- საერთაშორისო ურთიერთობები

თამარ კახიძე

ეთნიკური კონფლიქტის ზეგავლენა საგარეო პოლიტიკაზე
(ქეისები: თურქეთის გერიგორიაზე მცხოვრები ქურთი ეთნიკური ჯგუფი;
რუანდა; ბასკები;)

ხელმძღვანელი: ასოცილებული პროფესორი
გარიელ სიხარულიძე

თბილისი
2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

სახელი და გვარი : თამარ კახიძე

ხელმოწერა: თ.კახიძე

Table of content

აბსტრაქტი	3
Abstract	4
შესავალი	5
საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა	7
ლიტერატურული მიმოხილვა	8
თეორიები	15
კონსტრუქციები:	16
ინსტიტუციონალიზმი:	17
პრიმორდიალიზმი:	19
Case Study 1- კონფლიქტი თურქეთსა და ქურთულ ეთნიკურ ჯგუფს შორის.	20
Case Study 2- კონფლიქტი ესპანეთსა და ბასკ ეთნიკურ ჯგუფს შორის	24
Case Study 3 - ეთნიკური კონფლიქტი რუანდაში (გენოციდი)	30
მეთოდოლოგია	40
შედეგები	41
დასკვნა	42
ბიბლიოგრაფია	43

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების რიცხვის მაგება საკმაოდ შესამჩნევია. კონფლიქტების შესაბამისად გამოწვეული პრობლემები, სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას უქმნის საფრთხეს.

ეთნიკური კონფლიქტი წარმოიქმნება ერთ ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის განსხვავებულობის გამო, ეს იქნება რელიგიური, ენობრივი თუ სხვა პრობლემა.

ქვეყნისთვის, როგორც შიდა დაძაბულობის წარმომქმნელი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ეთნიკური დიფერენციაცია, რაც ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყანაში მოქმედ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიტუაციაზე, ამავედროულად მისი ზემოქმედება ვრცელდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც. მოცემულ ნაშრომში რამდენიმე, განსხვავებული ეთნიკური კონფლიქტის განხილვითა და მათი შედეგებით, შევეცდები გავიგო ახდენს თუ არა ზეგავლენას ეთნიკური კონფლიქტი საგარეო პოლიტიკაზე და რა სახის ზეგავლენასთან შეიძლება გვექონდეს საქმე.

Key Words: ეთნიკური კონფლიქტი; პრიმორდიალიზმი; კონსტრუქტივიზმი; ინსტიტუციონალიზმი; ქურთები; ბასკები; რუანდა; საგარეო პოლიტიკა

Abstract

In recent decades, the increase in the number of conflicts between states is quite noticeable. The problems faced by the conflicts poses a threat to the state's external and domestic policies.

Ethnic conflict arises because of the different ethnic groups in one country, it will be religious, language or other problem. One of the main problems for the country as an internal tension is the ethnic differentiation that affects not just the political and economic situation in the country, but also its impact on the foreign policy of the country. In this paper, I will try to understand if ethnic conflict could have any impact and influence on the foreign policy of the country and what kind of impact may it have or create.

Keywords: Ethnic conflict; Primordialism; Constructivism; Institutionalism; Kurdish ethnicity; Basque ethnicity; Rwanda; Indonesia; foreign policy.

შესავალი

სამყარო, სადაც ვცხოვრობთ დაგვირთულია სხვადასხვა სახის პრობლემით, მათ შორის კი გამოყოფილი ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს-კონფლიქტებს. კონფლიქტი შესაძლოა განვითარდეს, როგორც რამდენიმე ადამიანს, ასევე სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ქვეყნების სახით.

თვითონ, სიტყვა კონფლიქტი არის ლათინური წარმოშობის, რაც შეჯახებას ნიშნავს. სწორედ, რომ შეჯახება, ამრთა გაუგებრობა, უთანასწორობა, განსხვავებული სურვილები, ეთნიკურობა, რელიგია და მსგავსი გაუგებრობები წარმოქმნის კონფლიქტს. მისი გამოწვევა შესაძლებელია ისეთი პაგარა დეტალებისგან, რომელიც შეიძლება ადამიანისთვის აღქმადი იყოს, როგორც უმნიშვნელო სირთულე, თუმცა შედეგი სავალალო აღმოჩნდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით კი უამრავი მაგალითი გაგვაჩნია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ეთნიკურობა, სწორედ ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც განასხვავებს ერებს ერთმანეთისგან თავიანთი წარმოშობითა და წეს-ჩვეულებებით. ეთნოსი არის „განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც გააჩნია საერთო, შედარებით სტაბილური ენობრივი, კულტურული, ფსიქოლოგიური თავისებურებები და სხვა ერთობებისაგან განსხვავებულობის განცდა, ალბეჭდილი მის ცნობიერებაში...“¹

¹ ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა [მეთოდური სახელმძღვანელო]